გახუშტის სიტყვით ესვენა ქრისტეს სამფედი (ლურსმანი), აი-ლეთ ახლა თმოგვის ციხე—ქალაქი, სამშობლო სარგის თმო-გვედისა, რომელმაც სთარგძნა ვისრაშანი *) თმოგვის ქვემოდ, ხეობაშივე წენდის ეკლესია, რომელსაც ზეიდან, ჯავახეთის ვა-კედან გადმოჰყურებს კუმურდოს შესანიშნავი მონასტერი, აშე-ნებული ითანე ეპისკოპოზისაგან. აფხაზთა მეფის ლეონ მე-III-ს დროს 964 წ., „იჯდა აქ (კუმურდოში) ეპისკოპოზი, მწყემსი სრულიად ჯავახეთისა, ხერთვისს ზეითისა“ (ვახუშტი) და სხვ.
— მინც საინტერესოა, რომელ საუკუნეს-და ეკუთვნის წყარის-თავის მონასტრის აშენება? — შემეკითხა ბუნების მეტ-ყველი.

— კუმურდოზე ძრიელ ადრე, ბარე 400 წლის წინეთ არის აშენებული წყაროსთავი.

— მაინც?

— ვახტანგ გურგ-ასლანის შემდეგ მეფობდა ძე მისი დაბი (499—514). ამის ხელ-ქვეით ერისთაობდა ჯავახეთში ძმა მი-სი მირდატ. ამან აღაშენა ლვთაების ეკლესია წყარისთვისა „ფრიად დიდ-შევნიერი, გუმბათიანი, იჯდა ეპისკოპოზი, წყემსი მტკვრის აღმოსავლეთისა არტაანითურთ, ვიდრე ყარ-სის მთამდე და ხავეთამდე (ვახ.).

— ჩვენ გაგონილი გვაქვს, ბატონო, რო პირველი სახა-რება ქართულათ წყაროსთავის მონასტერში უთარგმნიათო — შემნიშნა ჯავახელმა.

— წყაროსთავში დაწერილია ორი სახარება. ერთი თას-თავი, თვალითა და მარგალიტით მოჭედილი, დღეს გელათის მონასტერში ინახება, ხოლო მეორე სახარება „დაწერილია წყაროსთავის ლვთაების ეკლესიაში ხელითა საბასითა და შე-კაშმული გიორგი აბაშიძის ბრძანებით წინამძღვრის გიორგი უთულაშეილისაგან“ იპოება უბისის ეკლესიაში იმერეთში (დ. ბაქრ.).

— ეგ ის სახარება ხომ არ არის გელათისა, ლევაშოვში რომ გაიტაცა? გულმტკივნეულათ შემეკითხა თავადი.

*) „დილარგეთ სარგის თმოგველსა,
მას ენა-დაუშრომელსა“.

ვარძილან თხიოდ ვერსის ქვემოდ მტკვარი ძირს უთხრის თმოგვის ოდესმე მიუვალ ციხეს. აშენებულია მტკვრის მარცხენა კიდეზე, ცაში და კიდულ საშინელ კლდეებზე. აუშენება შეფეხ ფარნაჯობს, მესამე საუკუნეში ქრისტეს წინეთ^{*}) თმოგვის ქვემოდ მტკვარი ჩაუვლის მარჯვნივ მდებარე წუნდას, ნაქალაქებს და ხერთვისის ციხის ძირში შეირთავს მარჯვნივ მდებარე ჯავახეთის მტკვარს, რომელიც გამომდინარეობს თაფარავნის ტბილან.

— გაგონილი გვაქვს, ბატონო, რო მაგ ტბის ნაპირზე წმიდა ნინოს გამოეცხადა ღვთის მშობელი. წმიდა ნინომ ამ არტაანის და ჩილდირის მთები შიშით და ძრწოლით რო გადაიარა, ძრიელ დაღალულა და ტბის ნაპირზე დასძინებია. ამ დროს ღვთის მშობელმა გადასცაო ვაზის ჯვარი და გზადაულოცა, გამხნევაო.

— ეგ ვაზის ჯვარი, ჩემო ჯავახელო, წმიდა ნინოს თაფის თმით შეუკრავს და ახლა ასვენია თბილისში, სიონის ტაძარში. ჯვარს ნინაობას (14 იანვარს) ყოველ წლივ გამოასვენებენ ხოლმე — პლოცველნი ემთხვევიან.

(შემდეგი იქნება).

ილ. ალ ხაზრ შეილი.



*) თმოგვის ციხე-ქალაქი 1551 წელს ზახ-თამაშმა აიღო ციხის უფროსის ცალის ღალატით. ეს პირველი მაგალითია ისტორიაში რომ ქართველმა ქალმა სამშობლო-ხიცვარულს შესწირა. ამ ეპიზოდის შესახებ ჯავახეთში თქმულობა, ლეგენდა სუფებს და ლექსათ დასწერა ჯავახელმა მიქელაძემ.

პირველ-ეოთილ ადამიანის ცხოვრება.

II.

ოჯახური ცხოვრება ველურებზე.



ჯახური ცხოვრება ჩვენ შორის ისეთი ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ძნელი დასაჯერებელია, რომ ქვეყანაზე არსებობს ისეთი ხალხი, რომელმაც არ იცის რა არის საკუთარი ოჯახი, არც ოჯახური ცხოვრების სიამოვნება. ჩვენთვის ოჯახი არის მტკიცე კავშირი მას მაკაცთა და დედაკაცთა შორის და აგრეთვე შშობელთა და შვილთა შორის. მოგზაურები ხშირათ მოგვითხრობენ, რომ არიან ისეთი თემები ველურებთ შორის, რომ ლებმაც არ იციან რა არის ქორწინება, მათ შორის არის გავრცელებული მრავალ - ცოლიანობა:

ყოველ მამაკაცს შეუძლია რამდენიმე ცოლი ჰყვანდეს.

თი სჯული და კანონი არ უკრძალავს მას, აგრეთვე არსებობს ზოგ ველურებთა შორის სულ სხვა ჩვეულებები, მაგალითად ცეილონის კუნძულზე, აზიაში, დედაკაცს შეუძლია თვის თემში ამოირჩიოს ქმარათ რამდენიმე მამაკაცი, იქ მრავალ ქარიანობა სუფევს.



ველურთა ოჯახი.

ერთი ქმრის რამდენიმე ცოლები ხშირათ ძრიელ თანხმობით ცხოვრობენ, შველიან ერთი-ზეორეს ოჯახობაში და უვლიან ერთი მეორინ შვილებს, როგორც თავისას. ზოგ თემებში მამაკაცებმა უნდა იყიდონ საცოლეები, ამისათვის ყველას არ შეუძლია ბევრი ცოლი იყოლიოს, რადგან შეძლება ხელს არ მისცემს და კმაყოფილდებიან ერთი ცოლით; ამ შემთხვევაში ცოლი ველურისა დაუღლავათ შრომობს, ცდილობს უშოვლს ქმარს იმდენი შეძლება, რაც საჭირო იქნება მეორე ცოლის საყიდლათ. ჭმან კარგათ იცის, რომ თავის ქმრის მეორე და მესამე ცოლები მიეშველებიან და ოჯახის გაძლილაში აჩხანაგურათ გვერდში ამოუღებიან.

ზოგი ველურები წინააღმდეგნი არიან ამ გვარი ჩვეულობისა, ისინი გმობენ მრავალ-ცოლიანობას და ერთი ცოლი ჰყავთ. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ მრავალ-ცოლიანობა გავრცელებულია არა მარტო ველურებში, თაორებსა და სპარსელებს შორისაც არის ეს ჩვეულება, თუმცა მათ ვერ ჩავთვლით ველურებათ.

ახლა ვნახოთ სად შოულობენ მამაკაცები თავის საცოლებს. ველურებ შორის ჩვეულებათ არის მრებული ქალების ზოტაცება, მათი ყრდვა და გაყიდვა.

ყოველ ახალგაზრდა ველურს შეუძლიან, თუ ის ნამეტანი ზარმაცი არ არის, იმდენს იძუშავებს რომ ცოლის საყიდლათ საჭირო სახსარი მოიპოვოს. ქალების ფასი, სხვა და სხვა მხარეში, სხვა და სხვა არის: აფრიკაში ზანგები აქამდის ქალებით, როგორც პირუტყვებით ისე ვაჭრობდენ. ზანგები თავის საცოლეში იძლევიან რამდენიმე ხარს: კაფრები ღამაზ ქალში იძლევიან 40—30 ხარს, ულამაზო კი 6—10 ხარათ ფასობს. ინდოელები ძროხებზე ცვლიან, არაბები ცხენებზე და სხვ.

ახლა თვალი გადავავლოთ ველურების ფრიად საუცხოვო ჩვეულებებს, ერთი მოგზაურთაგანი მოგვითხრობს შემდეგს: „ერთხელ, ინდოეთში რომ ვიყავ, მომებმა ძლიერი ყვირილი ველურების სოფლიდან, მე მეგონა ეჩხუბებიან ერთმანეთს მეთქი და გავსწიო სოფლისაკენ; წინ შემეფეთა ერთი ახალგაზრდა ველური, ზურგზე ეკიდა რაღაც წითელ ზეწარში გახვეული და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა, უკან მთელი გროვა ახალგაზრდა ქალებისა დასდევნებოდენ და

ცდილობდენ ტვირთი წაერთმიათ, სცემდენ ჯოხებით, ესვრი-დენ ქვებს; ის კი გარბოდა, მას ექმამგებოდენ ოცდა ათაშ-დე ამხანაგი ყმაწვილები.

როცა ვიკითხე თუ რა მოიტაცა ამ კაცმა, მიპასუხეს რომ ეს ყმაწვილი სასიძო არისო და ჩვეულებისამებრ მან მოიტაცა საცოლე და ქალის ამხანაგები ცდილობდენ წაართვან იგი უკან, სდევნიან, არ მოეშვებიან, სანამ თავის სოფელს არ მიუხელოვდებათ. ასეთი ყოფილა იმათი ჩვეულება”.

ჩრდილოეთ ამერიკაში, ინდოელების თემის უფროისი გამოაცხადებს ხოლმე, რომ ესა და ეს ქალი და კაცი დაქორწილდენ, მაგრამ ამ გამოცხადებით ქორწინება არ თავდება: სასიძომ უნდა უსათუოთ აიკიდოს ზურგზე თავისი საცოლე და მთელი ბრბოს დევნით და კურანით მიირბინოს თავის ქოხში.

ჩრდილოეთ ამერიკის მცხოვრებელ ესკიმოსებში სასიძო ძალით იტაცებს საცოლეს, თუმცა ქალმა რამდენიმე წლის წინეთ უკვე იცის ვისი ცოლიც უნდა გახდეს, მაგრამ ჩვეულებას ვერ ულალატებს — საქმრო იტაცებს: აიკიდებს ზურგზე და ისე მიჰყავს თავის ქოხში. საცოლო დიდს წინააღმდეგობას უწევს: სცემს, ცხვირ-პირს კაწრავს, კბენს და ყვირის. ასე ჩვეულება მისი ქვეყნისა!.. დასავლეთ აფრიკის ზანგებს უფრო სასაცილო ჩვეულება აქვთ. როგორც გადმოგვცებს მნახველი: ერთმა ახალგაზრდა ზანგმა მოინდომა მეზობლის ქალის ცოლათ შერთვა. მან წინადადებით მიმართა დედას, დედაც დასთანხმდა, მაგრამ იმ პირობით კი თუ გაიტაცებს ქალს. გავიდა ცოტა ხანი; ერთხელ გასათხოვარი ქალი ვახ-შამს ამზადებდა, ამ დროს შემოვარდა სასიძო, ასევანა ქალი ხელში და ძალით გაიტაცა. ქალი რაც შეეძლო ეწინააღმდეგებოდა — კბენდა, სცემდა, კაწრავა, ჩქეტდა, ყვიროდა, ცხარე ცრემლით ტიროდა. ბევრი თავისიანები და სხვებიც დაესწრნენ ამ ამბავს, მაგრამ არავინ არ ცდილობდა ქალს დახმარებოდა, პირ-იქით, ქალის მშობლები ასე ამბობდენ: „არა უშავს რა, ცოტა იტიროს, მალე შეეჩვევაო!“.

აქედან ცხადათ ჩანს, რომ ეს ნამჯვილი მოტაცება არ არის, ჩვეულებაა ხალხისაგან შემოღებული.

ზოგი ერთი ტომთაგანი ყიდულობს საცოლოს, აძლევს მშობლებს სასყიდელს, მაგრამ ქალი მაინც უსათუოთ უნდა

მოიტაცოს. ესეც ხდება, რომ ქალში ფასი მიცემულია, მაგრამ ქალის მოტაცება ვერ მოახერხდა, ან გაექცა, ვაუმა უნდა იცადოს, სანამ ხელში ჩაიგდებს ქალს, ან ტყეში, ან მინდობში; შეიძლება ერთი წელში აღდეს გავრდეს, ვერ მოიტაცოს, ქალი მაინც სხვას ვერ მისოხვდება, დღეს იქნება თუ ხვალ მყიდველი მოიტაცებს.

სხვა ნაირია ზოგი-ერთ ველურებში ქორწინების წეს-რიგი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს თუ რა მდგომარეობაშია დედაკაცი ოჯახში, რა ვალდებულება აწევს მას და რიგორი უფლებებით არის მამაკაცი აღჭურვილი.

აი ქორწინება ზოგ-ჯერ როგორა ხდება: საქმროს წინ გოდის საცოლო დოქით თავზე, ერთი ხელით მას დოქი უჭირავს, მეორე ხელი თავისუფლათ აქვს ძრის დაშვებული, საქმრო მოსდევს უკან, ის უცებ გაისვრის ისარს შიგ მის ხელ და ტან შეა. საცოლო წავა წინ, ისარს

ფეხით იღებს, მერმე მთავდაბლათ მიარომევს თავის საქმროს.

მეორე ჩვეულება ასეთია: საქმროს თავის მეგობრები მოუყვანენ ქოხში საცოლეს, საქმრო კი დაუხვდება ჯოხით და უწყალოთ სცემს ქალს. ეს არის პირველი ალერსი მეულლისა. შემდეგ ნაცემმა დედოფალმა უნდა დაგავის ქოხი და ყველა იქ მყოფ მექორწინებს თმა დავარცხნოს.

აქ მოვიყვან კიდევ ერთ უბრალო, მაგრამ საკმაოთ საგულისხმო ჩვეულებას:

ქორწილის დღეს ქალის მამა სასიძოს და სტუმრების და ნათესავების თან დასწრებით მოიხმობს თავის გასაოხოვარ



ინდოელი მეომარი თავისი ცოლით.

ქალს და სცემს, შემდეგ წინ წადგება საქმრო და რამდენიმე კარგ სილას უთავაზებს თავის საკოლოს.

ძალიან ადგილი გასაგებია ყველა ეს ახირებული ჩვეულებანი! აი რას ნიშნავს: ქმარი—ბატონია, პაჭრონი და მბრძანებელი დედაკაცია, ცოლი კი მონაა, უენო, მორჩილი, ამსრულებელი მისი ყოველი უხიაკი სურვილებისა.

რასაკვირველია ველურების უმრავლესობა ამგვარ აზრს
ადგანან, მაგრამ მათ შორისაც მოიპოვებიან ზოგი ერთი იყე-
ნები, რომლებიც სულ სხვანაირად უცქრიან ქორწინებას,
ოჯახს, დედა-კაცს. მაგალითად, ხშირად მოხდება, რომ მშო-
ბლებისაგან გაღიაწყვეტილი ქორწინება ჩიტლება, თუ კალს
არა სურს მათი ამორჩეული კაცი ქმრათ. შეიძლება კალი
კიდეც გაიქცეს სახლიდან, იხეტიალოს, იმალოს ვინ იცის
სად, იქამდის, სანამ კაცს არ მოსწყინდება მისი ძებნა.

მალაკის ნახევარ კუნძულზე (აზიაში), მოგვითხრობს მნა-
ხველი, არსებობს ჩეცულება: როცა მოლაპარაკება მშობლებ-
სა და სასიძოს შუა გათავებულია, საქორწინოთ ყველაფერი
უკავშირ დამზადებულია, ერთი საპატიო მოხუცებული კაცი
მეფე-დედოფალს გამოიყვანს ეზოში გაკეთებულ წრესთან,
აქ პატიარძალი გაიქცევა წრნ, უვლის ირგვლივ წრეს, ვაჟი
უკან დაედევნება, თუ დაეწია—ქალი მისი ცოლი შეიქნება,
თუ არა და ქალი თავისუფალია, არავის არ შეუძლია ამ კა-
ცის შერთვაზე ძალა დაატანოს. ერთი სიტყვით—დაიჭირე—
შენია, არა და ეძიე სხვა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი ჩვეულების დროს ის ვაჟი გაიმარჯვებს, რომელიც ქალს მოსწონს, თუ არა და ქალი ყოველი ღონით ცდილობს, რომ ვაჟი ვერ დაეწიოს და თავიდან აიცდინოს არა სასურველი საქმეო.

ძნელი ასატანია ის, რასაც ავსტრიალიელი ქალი იტანს
ქმრისაგან. იშვიათად შეხვდებით ქალს, — სახე დასახიჩრებული,
დალურჯებული არ ჰქონდეს, მაგრამ ყველგან ასე არ არის,
არიან ისეთი თემები, სადაც ქალი მამაკაცზე სავსებით ბატო-
ნობს. მას ემორჩილება ზოგჯერ მთელი ოჯახი, სასტიკ სას-
ჯელს აყენებს კიდეც მამაკაცს.

ერთი მოგზაური მოგვითხრობს, რომ მას შეხვდა ქალი-
საგან დასჯილი ქმარი. ის ჩამომჯდარიყო ხეზე და მწარეთ
ჩიოლა თავის ცოლზე: „ეს რამდენი ხანია ცოლმა დამსაჯა,
უსმელ-უჭმელი დამაკლი და არ ვიცი, როდის მელირსება პა-
ტიება!..“ ხედავთ, ქალსაც ზოგჯერ მამაკაცებზე ნაკლები უფ-
ლებები არა ჰქონიათ.

(შემდეგი იქნება)

ირა ნაკაშიძე.

მოხუცი მოთევზე.

(რესულიანი)



აღამოს ცხრა საათი იქნებოდა. მეთევზე გრი-
გოლი და მისი ცოლი ბნელაში ჩუმად მოსხ-
დომოდენ წითლად გაღაელაუებულ ნაკვერჩხ-
ლებით სავსე ღვიძლს. გარეთ საძაგელი დარი
იდგა. მათგრი ქარი დაჭისინებდა ზღვის ნაპირს,
ამღელვარებდა ზღვას, ზუზუნებდა საკომლე მილში, აშრიალებდა
ჩალას ქოხის სახურავზე და აჯლახუნებდა დარაბებს. მოუსვე-
ნარი აზოვის ზღვა მძლავრად მიიწევდა ნაპირებისკენ, მაგრამ
ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი უკანვე აბრუნებდა მას. ზღვა
ისე ღრიალებდა, რომ აისი ტალღების შხუილი რამდენიმე
ვერსის სიშორეზე გაისმოდა მყუდრო მინდორში. მოხუცე-
ბულნი ღრმათ ჩაფიქრებულნი ისხდენ ცეცხლა პირას. ხან-
გამოშვებით, თითქოს პასუხს ამღევსო თავის ფიქრებს, მოხუ-
ცი დედა-კაცი ღრმათ ამოიხრებდა ხოლმე და იტყოდა:

— ნეტა, სად არის ახლა ის?

ბერი-კაციც, თითქოს იმეორებსო მის ნათქვამს, თავის
მხრივ უპასუხებდა:

— ნართლაც და სად უნდა იყოს ახლა ის? ვინ იცის!..

— არა უშავს რა, ღმერთი მოწყალეა!.. იმხნევებდა თავს
იასე. — მალე მეც დავეხმარები!

ერთს ბნელ ღამეში ყმაწვილი ჩუმათ გამოეწყო და ღი-
დედა-პაპის გამოუთხოვებლათ გაიპარა, ეშინოდა, რომ გამი-
გონ აღარ გამიშვებენო. ვილაც მისი მამის ნაცნობმა მეზღვა-
ურმა მიიტყუილა თავის ნავჭე და წაიყვანა მახლობელს ნავთ-
საღვურმი. იქ იგი მუშათ დადგა რომელილაც უცხოელ გე-
მზე და მას შემდეგ არავინ არ იცოდა, სად დასცურავდა ან
ცოცხალი იყო კიდევ თუ არა.

მოხუცებულები უფრო დაღონდენ. იასეზე აღარაფერი აშბავი არ ესმოდათ. მთელი დღე იმაზე ლაპარაკობდენ, სიზ-მარშიაც-კი ხედავდენ და როდესაც დაიწყობდენ მის შესახებ ლაპარაკს, ეშინოდათ ეთქვათ: „იგი დაიღუპაო“, მაგირათ ყოველთვის ამბობდენ: „როცა ის დაბრუნდებაო“. მაგრამ გულში-კი დაჩმუნებულნი იყვნენ იასეს დაღუპვაზე.

ამ შემოღომის საღამოს მოხუცებულნი რაღაცა უმე-დობას ჰქონდნობდენ. ქარი ჰქონდა, საკომლე მიღს აზრია ლებდა, ზღვა შფოთავდა, ტალღები შხუოდენ. მათ ეჩვენებო-დათ, რომ სწორედ ახლა, ამ საძაგლო ამინდშია განსაცდელი მათი შვილის-შვილი იასე, თუ-კი ცოცხალია კიდევ სარმე-ბებრებს სწადდათ ფრთხები გამოჰქონდათ, რომ გაფრენილი-ყვენ გასთან და გულში ჩაექრათ.

დედა-ბერი წამოდგა ზეზე და ღვიმელს ნახშირი შეაყა-რა, რის გამოც ქოხში უფრო ჩამობნელდა.

— წახალ დასათვალიერებლათ... წარმოსთქვა მოხუცმ-მეთევზემ. მოქნარებითა და პირჯვრის წერით წამოდგა ზეზე, აანთო ფარანი, მხრებზე ფარაჯა მოისხა და კარებისკენ გა-მართა.

— საით გაემზადე, კაცო? შეეკითხა მას ცოლი.

— დღეს დილით ფაცრები დავდგი, უპასუხა მან,—გა-დამავიწყდა დღისით დაქეთვალიერებინა... ქარი ჰქონის, შესა-ძლოა ამაღამ ზღვამ გაიტაცოს და სრულიად უთევზოთ დავრ-ჩეთ...

— ნეტავი შენა, ღამე სიარული არ გეზარება!.. გესმის, ქარი როგორა ღმუის? შენც არ ჩაგაოროს კლდიდან... დარ-ჩი, ნუ წახვალ...

— რას ამბობ, დედაუკაცო! ერთი კვირაა უთევზოთა გართ! ჰური ვერაფრით გვიყიდია, ხომ უნდა გავყიდოთ მაინც რამე. მეღუქნე ისედაც გვიწყრება, რომ ფულს არ ვაძლევთ. ხომ იცი, როგორი კაცია!

— დაგეცადა დილამდე. ღმერთმა დაგიფაროს, წაიბორ-ძიებ სადმე და ჩაიჩებები! ან რა ძალა გადგია, რომ ამ შეუ-ღამისას არ იტოპო ზღვაში? თითქოს დაგვიწყებოდეს, რომ მან წაგვართვა შვილიც... იასეც...

ბერი-კაცი შეტორტმანდა, ხელი ჩაიქნია და გაუტე ზავათ გასწია კარებისაკენ.

— მაშ, მშვიდობით... წარმოსთქვა იმან.—დაწექი, დაიძინე!.. ვიღრე მე მოვალ...

მოხუცს კარზე გასვლის უმალვე ქარმა ზურგიდან წამოუბერა და გაუტეროლდა. ქარი ფარავის კალთებს ძალუმად უფრიალებდა, ცდილობდა ყაბალახის თავიდან მოგლეჯას და მალალ კიდიდან აზვირთებულ ზღვაში ჩაგდებას. მაგრამ ბერი-კაცი ნელა და ფეხ-მოკიდებით ჩადიოდა კლდიდან ძირს ფარნის შუქზე.

ნაპირზე ჩასვლისათანავე გრიგოლმა შენიშნა სიბრელეში შავი ჩრდილები.

— აი ქვებიც... წარმოსთქვა იმან.—ისე წამოჭვინტულან წყლიდან, თითქოს ბერები სხედანო... მაგრამ რატომ წყალში არ არიან ახლა?.. ეჰე! სჩანს ზღვას გამოურიყავს!

მეთევზე მიუახლოვდა კლდის ნატეხს, რომელიც ქვიშაზე ეგდო მარტო და ფარნის შუქზე თვარიელება დაუწყო.

— აქ მიდგანან ჩემი ფაცრები... სთქვა იმან.

იგი დაიკუზა და ხელი მოუფათურა. ყველანი რიგზე ეწყვენ დილას წყალში, ახლა კი ქარისაგან აღელვებულ ზღვას გამოერიყა ნაპირზე. მოხუცმა მწარეთ გაიღიმა.

— რა უბედურობაა! იღბალი არა მაქვს! წაიბუტბურა უკმაყოფილოთ. ისევ უთევზოთ დავრჩით! ტყუილი შრომა შემრჩა...

ტკივილებისაგან შეწუხებულმა მეთევზემ ფარანი ძირს დასდგა და წელზე ხელი გადაისვა.

— ვაი, წელო, ვაი!.. წარმოსთქვა ამოკენესით.—მოხუცებულის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, მე და ჩემმა ლმერომა! ჩავიღრძობოდე საღმე მალე, მირჩენია!

სადღაც შორს ტალღები შხუოდენ. მოხუცი იდგა და გასცეკეროდა ბნელ სივრცეს, ესმოდა ღრიალი, ხმაურობა და შხაპუნი, თითქოს თვით ზღვა სთხოვდა, ემუდარებოდა ქარს, რომ არ გაგდო იგი ბინიდან. კიდევ დიდხანს იდგა გრიგოლი და თვალ-კრემლიანი გაიცემორებოდა ბნელაში.

— იქ ჩაიღრჩევენ ჩემი შვილი და შვილის-შვილი!.. სთქვა ბოლოს და ლრმათ მოიოხეა.

հուստցու պահա ովազն օսնու ոյ, աեալցաթրդանո, չան-
դռնուտա დա միջդյօնու սացւենու დա առա մե, մոեսպեծուլո, հո-
մելուսաւ մշտառծու տացուր-կո առարա մայցու դա առարու առան
մուզըլո? հուստցու առ արուան աելու օսնու պարեալնո, մե-կո
մոեսպու Ծպուուատ գուգամութա զամեմեց? զուստցու զար սապուրո?
հուստցու պարութլուն?

Սյուրած նլցու մելյուուան յրտած յարմա նշնունու մու-
ճանա մուս պարամեց զուրասու եմա:

— մո՛շվելյու! զուրահունո! զոնա եարտ յրուսեւունո!

ոյ նյեշյուրա, պարու մուշգուն.

— մո՛շվելյու!.. կըլազ մուսմա նլցուուան զուրասու սաեուլո.

ճաս, մոեսպու առ նյեշըլա! մարտլու զուրապա յացու պա-
ռուծա, զանթուրությօնու յետիւ սա՛շվելյա. մացրամ սած ովա-
ոյո? և ձայմարտա?

մոեսպու օսյու մուշգուն պարու դա նյեսմիւնդա. յարու
աելուծ նյեմությօնան կըլազ մուսմա նլցուուան աժամունու սաեու-
լո. ցրոցումա քասեւապա ելու յարանս դա նասշենս նապալու գու-
շեցրան յեցա լայնու. նյեմուց, հաւ սալու դա լունց նյեմունց
մուրինուն օմ սալ կըլազտան, հոմլուս աելու զամուսալցց-
րատ յաշրեն մուսու յաւրացի, սպուլու նշնու դա լուսցա յա-
րանո. մյուր օսյու համուրուլու յարնու մուր դա մուսացն հատ
դարձուն նին դա սյան յետիւն.

և պահա յենա? ասյունու մալլու ծեցնյ դա յայրինու մտց-
լու զերսո, նյեմուց տացու սոյուլնու պայլա յետնյ դայսյունմո-
նա դա նյացսեա մուս մուսնյելցելուա? մացրամ սանցելու-կո գու-
հեծունա մանամեց, զոնց աելու օսյ սումեցու յակյունու? տա-
տոննյ համշարուն նացնո, այնու այրու դա նյացսունու մուս-
նյելցելուա? մացրամ մուսու նացու յետիւնյ յըլու յայրինու մու-
մուլո, հացգան յարս նլցա նակուրինուան յայնուրենունա.

— սպելյուրո!.. նյարմուստյեա նյեմությօնմա ծերու-կապմա.—
նյելու գու առար նյեմունցի!

նյեմուց յասնուրու նյելուն, ելուցի սրբուրունու մուսու-
թյեմունա դա հաւ սալու դա լունց նյեմունց եմա մալլու յա-
պարու:

— յամացրու! նոյ յամունու! մուզուցար!..

մոեսպու յանչնյ ոյնեցլա յարանս, հոմ ամուտ յնունցենու


უბედურისთვის, მოვალ საშველათო, იგი გაემართა იმ ბნელ ადგილისაკენ, სადაც ტალღები შხუოდენ და საიდანაც კვლავ მოისმოდა, თუმცა-ლა მიკნავებული ძახილი.

აგერ წყალიც გამოჩა. ჯერ ქვების გროვა უნდა იყვეს და შემდეგ ზღვა. აზვირთებული ტალღები ხმაურობით ეხეთ-ქებოდენ ამ ქვებს. თუ უბედური ამ ქვებზედ იყო, შეიძლებოდა კიდევ შველა, რადგანაც ახლა ზღვას დაეკლო და არც ლრმა იყო ამ ადგილას.

გრიგოლმა სამჯერ გადაიწერა პირ-ჯვარი და გაბედვით შევიდა წყალში. მას ფეხები უცურდებოდა ნიჟარებზე და რევალ კენჭებზე, მაგრამ მაინც მხნეთ და შეუდრეკლათ მი-იწევდა წინ ბნელაში. ფარანში წყალი ჩაუვიდა და გაუქრა. ყელთამდის წყალში მყოფი მოხუცი აზრით მიიკვლევდა გზას, აგერ მის წინ ქვების გროვაც გამოჩნდა. ზღვის ბალახს მოე-კიდა, მალლა ნაპირზე აცოცდა და ქვებზე ხელებით ფათური დაიწყო. ის რაღაცა ნამსხვრევებია; ეჭვი არ არის ვისიმე ნა-ვის ნარჩენებია. ის კიდევ რაღაცა, რბილია, სველი. მეთევზემ ხელით ფათური დაუწყო და ოცნო, რომ ეს ადამიანი იყო. იგი აღარც კი ინძრეოდა, არცა ჰყვიროდა, იდო ისე გაჭიმული. გრიგოლმა გულზე ხელი დაადო, ეტყობოდა ჯერ ცო-ცხალი იყო, გული ოდნავ უცემდა.

(დასასრული იქნება)

ნინო ენუქიძე.



ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა



(თომა ალვა ედისონი).

წამს საშინელ მღვმბარეობაში ჩაგრძელდა. მაგრამ მაღვიდა გონიერება და გაზეთის პატრონს შეუვარდა, აუხსნა თავისი გარემოება და სთხოვა შეორე დღემდის მიეცა მისთვის ნისიათ ათას ხუთასი ეგზემპლარი.

გაზეთის პატრონი მაღალი ტანის, გამხდარი და სასტიკი შეხედულობის კაცი იყო, გადმოხედა მან ზემოღან ამ ცოცხალ ბავშვს, ძერე დაუწერა ნაგლეჯ ქაღალდზე ორიოდ სიტყვა, გადასცა პატირა აღვას და უთხრა:

— დაიჭი, უჩვენე კანტორაში და მიიღებ, რასაც მოხვდ.

ყმაწვილმა სიჩქარით ვერც კი მოახერხა რიგიანათ მადლობის გადახდა, გამოვარდა ოთხიღან და შურდულივით შევიდა გაზეთის კანტორაში. მხიარულიათ ჩიბარა გაზეთები, მოიშველა პატარა ბიჭები და ძლივს მოუსწრო. მატარებელს, რომელიც ის იყო დაიძრა.

ყმაწვილს ახლა ის აფიქრებდა ტელეგრამა იყო გაგზავნილი თუ არა და ან ხალხმა როგორ გაიგო ეს ტელეგრამა. ის გულის ფანკუალით უახლოვდებოდა პირველ სადგურს. ჩვეულებრივ ამ სადგურზე ორ ცალს თუ გაჟყიდდა. მაგრამ

ახლა ერთ წუთში მან ორმოცი ცალი გაასაღა, ხოლო ჩვეულებრივ ფასათ. მეორე პატარა სადგურზე აუარებელი ხალხი დაუხვდა, ყვირილით, ღრიალით გაზეთს თხოულობდენ. ედისონმა გაზეთს ერთი ორად ფარი მოუმატა და ას ორმოცდა-ათი ერთ წამს გაყიდა.

ასე ყველა სადგურებზე თხოულობდენ გაზეთს და ვისაც არ ერგებოდა — ჩხუბობდენ. პატარა ალვას კი სახე სიამოვნებით უბრწყინავდა.

ყველაზე უკეთესათ საქმე წავიდა პარტ-გურიონში. სადგურიდან ქალაქმდის სამი ვერსი იყო, და გამოჩნდა თუ არა ამ გზაზე პატარა ალვა თავისი გაზეთებით, წინ დიდ ძალი ხალხი გადაეღლობა. ალვამ გაზეთს ფასი მოუმატა, თითო ცალში ითხოვდა ათ შაურს, ფულებს მის ქუდში ჩხრიალი გაჭქონდა, ბავშვს ხალხი ისე მიაწყდა, რომ ის იძულებული გახდა ეკლესიის კიბეზე შეეფარებინა თავი.

ის იყო წირვა დაწყებულიყო, მაგრამ ხალხი ხმაურობაზე გამოვარდა. ალვამ თავის უკანასკნელ ცალს ფასი ერთი ათად აუწია.

ამისთანა ამბავი გასაკვირველი არ იყო, ეს ამერიკელების ჩვეულებაა, თუმცა არ ვარგოდა იკლესის კარებზე ამისთანა ბაზრობის გამართვა. ალვა რომ საღამოზე დაბრუნდა შინ დედას ამაყათ გადმოულაგა თავისი დიდი მოგება და ამითი მას დიდათ შეეწია.

ალვას შემდეგაც ძალიან გამოადგა ამისთანა მოხეროებული მოგონება. მან მოინდობა ამ გვარათვე თავი ეჩინა და დაიწყო ტელეგრაფის გაყვანაზე ფიქრი. ვინმე ტელეგრაფისტი რომ არ დახმარებოდა ამ საქმეში, ალვა მარტო ვერას გააწყობდა და შეუდგა ტელეგრაფის და ელექტრონის ძალის დაკვირვებას და შესწავლას. მან ამ საგნის შესახებ გულდასმით წაიკითხა ყოველ გვრი წიგნები და შეიძინა პატარა მანქანა, რომელზედაც სხვა და სხვა გვარ გამოცდილებას ახდენდა. მერე თავისი პატარა ლაბარატორია გადააკეთა ელექტრონის ქარხანათ.

ამავე დროს მან განიძრახა გაზეთის გამოცემა. იყიდა ხელით საბეჭდი პატარა მანქანა, ძველი გაცვეთილი ასოები და თავის კუნძულში, მატარებელზე, დაიწყო გაზეთის აწყობა. მას

შეენიშნა სტამბაში როგორ მუშაობდენ და ბაძვდა მათ, ბევრი ტანჯვა-ვაების შემდეგ მოახერხა თავისი საკუთარი გაზე-თის გამოცემა; კვირაში ერთხელ გამოდიოდა და სულ მცირე ფასათ ჰყიდდა. ეს ნამდვილი რკინის გზის გაზეთი იყო. აქვე სწერდა, აქვე აშენდა, ბეჭდავდა და აქვე ჰყიდდა. შინაარსი, უმეტესათ, რკინის გზის მშები იყო.

რკინის გზის მოსახსახურენი თითონვე აძლევდენ მასა-ლას, თითონვე კითხულობდენ და „პატარა პროფესორი“ გა-დაიქცა „უფროს რედაქტორათ“.

თოთხმეტი წლის ყმაწვილი ძალიან მარჯვეთ იქცეოდა. როდესაც მან პირველი ნომერი დაბეჭდა, მაშინვე რკინის გზის უფროსთან გამოცხადდა და სთხოვა: პატივი ეცით ჩემ გაზეთს და ამ ნომერზე ხელი მოაწერეთ; საქმე იმათი გა-თავდა, რომ უფროსი ცოტაოდენ ფულით შეეწია ყმაწვილს და ამ გვარი ხალისისთვის თანაგრძნობაც გამოუცხადა.

არა თუ რკინის გზის მოსამსახურენი, თვით მგზავრებიც ცნობის მოყვარეობით ყიდულობდენ მის გაზეთს, სადაც სხვა-თა შორის რკინის გზის მიმღებლაა და სხვა და სხვა დროს გასატარებლების განცხადებები იყო დაბეჭდალი.

პატარა ალვას მკითხველები თანდათან ემატებოდა, ახლა დღეში 400 ცალს ჰყიდდა. ის მაინც არა კვაყოფილდებოდა და ახალ საშუალებას ეძებდა მკითხველების რიცხვის გასამ-რავლებლათ. ერთხელ ხელის მომწერლებმა მიიღეს გაზეთი, რომელზედაც დაბეჭდილი იყო მათი სახელი და გვარი. ამან ძალიან ასიამოვნა ყველანი და ხელის მომწერლები ერთი-ორად მიემატა.

ალვას გაზეთმა ევროპაშიაც გაითქვა სახელი. მსოფლიოთ განთქმულმა ინგლისურმა გაზეთმაც „ტაიმსა“ მიაქცია უუ-რაღლება. ლოკომოტივის მომგონმა გიორგი სტეფანსონმა სა-კუთრივ თავისითვის გამოიწერა „რკინის გზის გაზეთი“.

ედისონს შემოსავალი დღითი დღე ემატებოდა. მან თა-ნაშემწეთ იყვნა რამდენიმე პატარა ბიჭი და თავის დედ-მა-მას უგზავნიდა თვითურათ რვა თუმანს.

მისი ცხოვრების გეგმა თანდათან ფართოვდებოდა. მას აღარ აკმაყოფილებდა უბრალო რკინის გზის გაზეთის გამო-ცემა. უნდოდა ნამდვილი დიდი გაზეთი ცოცხალი და საყუ-რაღლებო მშებით სავსე, გამოეცა.

ამ მიზნით ის დაუმეგობრდა, ერთ თავის ტოლს ახალ-გაზრდა ყმაწვილს, რომელიც ღილი თავგამოდებული იყო, რად-გან მისი ორიოდ ნაწერები უკვე დაებეჭდათ. მათ ერთად დაიწყეს გაზეთის გამოცემა, სახელით „პოლ-პრიუს“.

ეს სახელი იყო ერთი ინგლისური კომედიის გმირისა— შეტად შეუპოვრისა, თამამისა, რომელიც ყველგან შეტანირობ-და, არავის მოსვენებას არ აძლევდა და სხვის შინაურ ცხოვ-რებაში ეჩრდებოდა.

ახალი გაზეთი მეტათ შინაარსიანი გამოდგა—თავის სახელს ლირსეულათ ატარებდა: თამამათ, შეუპოვრათ ეხებოდა ყველის, არავის ერიდებოდა, მაგრამ ყმაწვილების თამამობამ უსაქციე-ლებამდის მიაღწია და როდესაც ერთ დიდ კაცს შეურაცყო-ფა მიაყენა, ასე ადვილათ არ გაიარა საქმებ. შეურაცყოფილი კაცი ერთხელ დაუხვდა ქუჩაში ლფროს რედაქტორს, ერთი კარგათ მიბერტყა და გადისროლა შუა ქალაქის მდინარეში. კიდევ კარვი, რომ ალვამ იცოდა ცურვა და გამოვიდა ნაპი-რას. მაგრამ გაზეთს კი ცუდი დღე დაუდგა. წყალმა ყმაწვი-ლის მაგივრათ გაზეთი დასძირა.

ამბობენ უბედურების უბედურება მისდევსო. ცოტა ხანს შემდეგ, ერთხელ ალვა მუშაობდა თავის ლაბორატორიაში მატარებლის მიმოსვლის დროს, უცბათ ხელიდან გაუვარდა ბოთლი, რომელ შიაც ფოსფორი იყო. ერთ წამს ცეცხლი გაჩნდა ჯერ იმის საბარევეში და მერე მთელ მატარებელში. ცეცხლის გაქრობა რასაკეირველია მოასწრეს, მაგრამ გზის ზედამხედველი მეტათ გაბრაზდა. ის დიდი ხანი იყო ეჭვის ოვალით შესკეროდა ალვას საბარევს. იქიდან მოისმოდა ხან რაღაც ხმაურობა, ხან შუილი და ზოგჯერ საბარევი სუნიც. გზას ზედამხედველს ძალიან ეშინოდა და ეგონა, რომ შესაძ-ლოა მთელი მატარებელი აფეთქდეს და ყველა დაიღუპოს. მან ახლა ისარებლა ამ შემთხვევით, შუა გზაზე შეაყენა შა-ტარებელი, ალვას გადაუყარა ყველა ბოთლები და იარაღები და თანაც ისეთი მძლავრი სილები უთავაზა ყმაწვილს, რომ მან გონება დაჰკარგა და რამდენიმე ხანს დაყრუვდა კიდევც. მატარებელი გაუდგა გზას. საბრალო ალვა კი დარჩა შა-ტა გზაზე თავისი გატეხილი ბოთლებით და ლუკმა-ლუკმათ ნაქცევი იარაღებით. მატარებელის ორთქლმა გაიყოლა მისი

დიდებული გეგმები და წარმტაცი იმედები. საღლა იყო „პა-
ტარა პროფესორი“, მოჩხა და გათავდა „უფროსი რედაქტო-
რობა“. ის იდგა ფერმკრთალი, აბუზული, გაბრუებული სი-
ლებით შეა გზაჩე, ცრემლები ლაპა-ლუპით გადმოსდიოდა. არ
იკრიდა საღ წასულიყო, რა ექნა? კარგა ხანს შემდეგ ედისო-
ნი უამბობდა თავის ნაცნობებს, რომ თუმცა მას აქეთ ბევრი
თავგადასავალი დაატყდა, მაგრამ არც ერთხელ ისე შეწუხებუ-
ლი და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი არა ყოფილია, რო-
გორც იმ უბედურ დილას, როცა გამოაძიეს ის თავისი ლაბა-
რატორიით და შარა გზაჩე მიატოვეს.

ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის როცა დიდი ნაღვე-
ლი დატყვებოდა თავს, ახლაც ალვა წავიდა დედასთან და
იმანაც შვილს დედობრიული ნუზში სცა და უთხრა: სახლის
სარდაფუში გაიკეთე ლაბარატორიამ.

განეთების გამყიდვაობა აღვას მაინც შერჩა და ის მატა-
რებლით წინ და უკან დადიოდა. მთელ თავისუფალ დროს,
მეტადრე კვირაობით, ელექტრონის ძალის შესწავლას ანდო-
მებდა. მისი მიზანი იყო თითონვე, თავისი საშუალებით, ტე-
ლეგრაფი გაეყვანა. მან იყიდა ტელეგრაფის შესასწავლათ წი-
გნი და თავისი ახალი მეგობრით, ჯემს უარდით, სხვა და სხვა
გამოცდას შეუდგა და ერთხელ ამათ სასაცილო აბავიც დაე-
მართათ.

ამათ სადღაც იპოვეს რკინის მავთული და მდინარე მი-
ჭველი ტელეგრაფის ბოძის, ნაჭერი და გააძეს მავთული-
ერთი ქუჩიდან, სადაც მათი დედ-მამა ცხოვრობდა, მეორემდის-
ახლა საჭირო იყო ელექტრონის ძალა ეშვენათ. ყველაზე
ძნელი ეს იყო, მაგრამ ყმაშვილებს ეს არ აღონებდა. ალვას
სადღაც ამოვეკითხა, რომ თუ კატის ბალანს ხახუნს დაუწყებთ
— ელექტრონის ძალა გაჩნდებაო. ამ მიზნით ამხანაგებმა დაიკი-
რეს ორი უშველებელი კატა და დიდი გაჭირვებით მოაძეს კატის
ფეხებს მავთული. ბოლოს დაიწყეს ამ ჩვენ პატარა მეცნიერებმა-
მავთულის ხახუნი კატის ბალანზე. კატები ურჩნი გამოდგენ,
ხულაც არ უნდოდათ სამეცნიერო საქმეში ეშველნათ. ასტერეს
საშინელი კავილი და ცდილობდენ თავი დაელწიათ ტყველ-
მიდან და მოახერხეს კიდევ, ყმაშვილებს დაუსისხლიანეს ხე-
ლები და შეშინებულნი, კუდამოძუებულნი გაიქცენ. გამო-
მდა ბავშვებმა აღარ გაიმეორეს.

ალვა დიდ მოთმინებას იჩენდა. თავისი შრომით ნაშოვნი ფულით ყიდულობდა სხვა და სხვა ელექტრონის სითხეებს, იარაღებს და ისეთი თავ განწირულობით იკვლევდა უკველგვარ გამოცდას, რომ მისმა მეგობარმა ჯემსმა უარდმა ველარ გაუძლო, მოშორდა მას, არ უნდოდა თავისუფალი დრო ნოტიო და ბნელ სარდაფში გაეტარებინა.

ალვა მეტათ სწუხდა, რომ ტელეგრაფზე მუშაობა არ იცოდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ და მისმა გამბედაობამ უშველა.

ერთხელ, დიდი სიცხის დროს, 1862 წ., ხალხის და საქონლის მატარებელი, რომლითაც ალვა მოდიოდა, მუნდ-კლემანსის სადგურზე გაჩერდა. აქ საქონლის ვაგონები უნდა მეორ ლიანდაგზე გადაეყვანათ. ამიტომ მატარებელი უნდა გაჩერებულიყო ნახევარ საათით, ალვა გაეშურა სადგურის უფროსის მეკენზის ბინისკენ, მის შვილთან.

ალვა ცოტა ზანს შედგა გაზეთებით ხელში და დაუწყო წიწილებს უურება. უნებლივი მიიხედა უკან და საშინელი სურათი წარმოუდგა. საქონლის მატარებელი მიექანებოდა ლიანდაგზე, რომელზედაც ზურგ შექცეული იწვა მეკენზის პატარა შეილი და ქვიშაში კენჭებს აგროვებდა. ერთი წუთი რომ დაცალებოდა ბავშვი გაიჭულიტებოდა. ალვამ ერთ წამს გადაყარა გაზეთები, მივარდა ბავშვს, აიტაცა ხელში და გადაეშვა ნაგავზე, რომელიც ლიანდაგთან მოგროვილი იყო.

ორივე ყმაწვილს აუკილებლათ სიკედილი მოელოდა. მანქანამ ალვას ჩექმის ქუსლიც კი მოაგლიჯა. ყმაწვილები ისეთი ძალით დაეცნენ ჩაგავზე, რომ სახეები დაესახირათ, გასისხლიანდენ, ნაფორტები და ფიჩები ტანში შეერქოთ დარის ვით ვაგლაბით ამოიყვანეს ისინი ნაგვიდან.

მეკენზიმ საჩქაროთ გათაიყვანა ორივენი თავისთან, ყმაწვილის დედამ ორივეს იარები შეუხვია. ედისონმა კრინტი — ხმა არ დასძრა, თუმცა შეხვევის დროს საშინელ ტკივილებს გრძნობდა, ის მხოლოთ სიუვარულით შესცეკროდა გადარჩენილ ყმაწვილს.


მეკენზი ლარიბი კაცი იყო და ედისონს ხოლო ეს უთხრა:

— მე ვერ გადაგიხდი სიკეთეს, როგორც ლისი ხარ და როგორც გევადრება; მაგრამ მე შემიძლიან ტელეგრაფის ხელობა შეგასწავლო და ადგილიც გიშოვო, ღამით იმუშავებ, თვეში 25 დოლარს მოგცემენ.

ალვას სახე გაუბრწყინდა. ამაზე უკეთესს რას მოინდო-
მებდა. ოქრო-ვერცხლით რომ დევსოთ ისე არ გაეხარდებოდა,
როგორც ამ სიტყვების გაგონება.

ასე დაიწყო ალვამ ტელევრაფის ხელობის შესწავლა.

არც მეკენჭის ჰყოლია ასეთი გონიერი და მოცადინე შა-
გირდი! ყოველ ღამ ალვა ტელევრაფის დაზგაბე დაკუზული
აღტაცებით უსმენდა რასაც გადმოსცემდებ ხოლმე. საქმე მშე-
ნიერათ მიდიოდა, მაგრამ უკიბათ ყმაწველი გაქრა. გავიდა
ერთი დღე, ვავიდა მეორე. მეკენჭიმ არ იცოდა სად გაქრა
მისი შაგირდი, დარწმუნებული კი იყო, რომ ალვას არ
უყვარდა ცუდ უბრალოთ ხეტიალი.



ახალგაზრდა ედისონი.

ერთი კვირის შემდეგ დაკარგული გამოჩნდა, სანამ გა-
მარჯვებას ეტურდა მასწავლებელს, ჯიბილან ამოილო გაკეთე-
ბული ტელევრაფის ორი მოწყობილობა, რომელიც მას ამ
დროისობაში ერთ ნაცნობ მოიარაღეს ქარხანაში გაეკეთებინა.
ეს აპარატები მეტათ პატარები იყო და ოვით წერილის პა-
კეტში მოხავესდებოდენ, მაგრამ ნამდვილ აპარატს არ ჩამოუზ-
ჩებოდენ.

ალვა უბრალოთ, დროს გასატარებლათ არაფერს არ აკა-
თებდა, ახლაც მან და მეკენზის სიძემ, პოლ ბენერმა პორტ-
გურინიდან ტელეგრაფი გაიყვანეს რკინის გზის სადგურამდის,
ერთიმეოთხეცი მიღის სიშორით. რკინის მავთული გააბეს და
ბოლო ლობებზე მიამაგრეს სამ-ვერშოკიანი ლურსმნებით. ტე-
ლეგრამის გაგზავნა ლირდა $12\frac{1}{2}$ სენტათ, ჰარის სიმშორის
დროს ტელეგრაფი მშვენივრათ მუშაობდა, მაგრამ ავდარში
და ბურუსის დროს არაფრის გადმოცემა არა ხერხდებოდა.
ამ ორმა ამხანაგმა ამითი ცოტაოდენი ფულიც იშოვეს.

ნათლათ ჩანდა, რომ ალვას დიდი ხალისი ჰქონდა ტე-
ლეგრაფის ხელობის ზედ მიწევნით შესწავლისა. მას სურდა
საფუძვლიანათ შეესწავლა და დღე და ლამ ტრიალებდა ტე-
ლეგრაფის სადგურებზე და ამ მოხელებთა შორის მრავალი
ამხანაგები გაიჩინა.

სამ თვეზე მან გაასწრო მასწავლებელს და იმაზე უკეთე-
სათ და მარჯვეთ გადასცემდა ხოლმე ტელეგრამებს, ისე რომ
ახლა ადგილის შოვნას უნდა შესდგომოდა.

ამ დროს ის ხშირათ დაიარებოდა „დასავლეთ საზოგა-
დოების“ ტელეგრაფის ბიუროში და იქ ედისონმა პირველათ
გამოიჩინა თავისი ნიჭი. ტელეგრამის გადაცემის ძალა ერთი
ორათ გახადა და ამით ამ საზოგადოებას დიდი სარგებლობა
შესძინა, მაგრამ იმათ მადლობის მავივრათ გააძევეს იქიდან.

აი საქმე, როგორ იყო:

შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა მიმართა ჩვეულებ-
რივი მილოცვით კონგრესს და ამერიკის პარლამენტს. ალვამ
მიიღო ეს საქართო ტელეგრამა, რომელშიაც პრეზიდენტის
სიტყვა იყო მოყვანილი. პირობის ძალით ამ მძიმე საქმის
შესტულებისთვის უნდა მიეღო 20 დოლარი. მაგრამ რო-
დესაც საქმე შეასრულა, ბიურომ ანგარიში გააკეთა და ნა-
ხევარზე მეტი ფული მოუკლო. ამისთანა საქციელი ედისონმა
შეურაცყოფათ მიიჩნია და მუშაობას თავი დააწება. წავიდა
სტრაფორდში მეკენზისთან და იმან იქ სხვა ადგილი უშოვა.

ამითი თავდება პატარა ალვას თავგადასავალი. შემდეგ
მის ცხოვრებაში ახალი ხანა დგება ათასგვარი თავგადასავა-
ლით.

(შემდეგი იქნება)

როგორ გვარეულ აბის

სამასი წლის მეფობის იუბილე.



საკოვის მეფეთ 21 თებერვალს, 1613 წელს, ერთ-
ხმათ ამორჩეული იყო მიხეილ თეღორის ძე რო-
მანოვი, და ახლა 21 თებერვალს, 1913 წელს, მთელ-
მა რუსეთმა დიდი ამბით იდლესასწაულა სამასი წლის რომა-
ნოვთა გვარის მეფობის იუბილე.

რომანოვთა გვარის მეფის ამორჩევის კარგა წინეთ ბევ-
რი არეულობა და უწესრიგობა სუფევდა, თითქმის ხუთმეტი
წლის განმავლობაში რუსეთს არ ჰყავდა კანონიერი მეფე.
მეფე თეოდორე ივანეს ძეს სიკვდილის შემდეგ ტახტი უმემ-
კვიდროთ დარჩა, რადგან თეოდორეს არ ჰყავდა ვაჟა-შვილი.
მან არ იცოდა ვისთვის გადაეცა მეფობა. თეოდორეს მეულ-
ლემ, ირინემ, დაასახელა მეფეთ თავისი ძმა ბორისი გოდუ-
ნოვი. ბორისი ცდილობდა დაეშახურებინა ხალხის სიყვარუ-
ლი, მაგრამ ხალხს არ უყვარდა იგი. მას აბრალებდენ ივანე
მე-IV-ს პატარა ვაჟი-შვილის, დიმიტრის მკვლელობას. ეს
ბრალდება სტანჯავდა ბორისს. ამის გამო გახდა ეჭვიანი, და-
უნდობელი და მკაცრი. ის უწყილოთ სდევნიდა წარჩინებულ
დიდ კაცებს, ცუდი თვალით უყურებდა მათ და სასტიკათ
გვრცელობდა იმ პირთ, რომელთაც არ უყვარდათ იგი, არ
მოსწონდათ მისი შთამომავლობა.

ამ დროს რუსეთში დაიწყო არეულობა. მოკლული და-
მიტრის სახელით ისარგებლეს ხალხის ასალელვებლათ. მაშინ-
ვე გამოჩნდა ვილაც, რომელმაც დაირქვა დიმიტრის სახელი
და მოინდომა მეფობა. წარჩინებულმა დიდ-კაცებმა კარგათ
იცოდენ, რომ ეს „ცრუ დიმიტრია“, მაგრამ ბევრმა მხარი დაუ-
ჭირი. „ცრუ დიმიტრიმ“ იმედა თითქმის თერთმეტითვე. ის ამ-
პარტავანი ხასიათისა იყო, არ უყვარდა რუსული წირვა-
ლოცვა, დასკინოდა დიდ-კაცებს, ოხუნჯობდა მათ შესახებ.

და ეს იყო მიზეზი, რომ ის მოჰკლეს. ამ დროს „ცრუ დიმიტ-
რის“ მეგობრებმა პოლონელებმა მოინდომეს მისი შვილი აეყ-
ვანათ მეფეთ მოსკოვის ტახტზე, შვედების მეფეც ცდილობ-
და რუსეთის დაბყრობას.



ამ დროს რუსეთი საოცარ სურათი წარმოადგენდა: ყველ-
გან თარეშობდენ პოლონელები. ხალხი სიმშილით იხოცებო-
და. ბნელი ძალები რუსეთს ძირს უთხრიდენ, უწესრიგობა,
უთავობა ყველგან სუფევდა. სწორეთ მაშინ მიეშველა რუ-
სეთს რამოდენიმე პირი პატრიარქი გერმოგენის თავისნობით
და მოიწვიეს მათ მთელი რუსეთი სამშობლოს საშველით, გა-
ჭირვებიდან გამოსახსნელით. შეიკრიბა ხალხი მტრების გან-
სადევნათ და მშეიღობიანობის დასამყარებლათ. მათ განდე-
ვნეს პოლონელები და უნდა შესდგომოდენ მეფის ამორჩევას. ვინ იკისრებდა ამისთანა ძნელ დროში მეფობას. მოიწვიეს
საერობო კრება და ერთხმათ ამოირჩიეს მიხეილ თეოდო-
რეს ეგ რომანოვი — ფილარეტ პატრიარქის შვილი.

მაშინ ახალგაზრდა მიხეილი იპატიევის მონასტერში,
კოსტრომის ახლოს, თავის დედითურთ იყო ჩაკეტილი და
სიკვდილის შიშს განიცდიდა. იგი დაღუპვისაგან თავგანწირ-
ვით იხსნა ივანე სუსანიშა. რუსეთის წარმომადგენელნი მი-
ვიდენ მონასტერში და ჭაბუკ მიხეილს გამოუცხადეს ხალხის
სურვილი. ეს მოხდა სამასი წლის წინეთ, 21 ოქტომბერი,
1613 წ. ამ დღიდან რუსეთში მეფობს რომანოვების გვარეუ-
ლობა.